391

№3/2272-13

1147653173025

www.info.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

27 თებერვალი, 2014 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
სასამართლოს დასახელება

მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილი
სხდომის მდივანი ნათია ფურელიანი

მოსარჩელე-შპს ,,არქიინვესტი"
წარმომადგენელი- თეიმურაზ ჯოხაძე;

მოპასუხე - ქ. თბილისის მერია
წარმომადგენელი: ლევან აფხაზავა;

მესამე პირები: ლაშა ტუღუში, გრიგოლ ბარამიძე, თამარ ვაშაყმაძე, ინგა ბაბლუანი, კახა ქორიძე, იზა აფხაზავა, მალხაზ ბარამიძე, ლალი მახათაძე, ნინო ცინცაძე ;
წარმომადგენელი-ხათუნა გრიგალაშვილი;
ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური;
წარმომადგენელი- მარიამ ჯაში;

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

აღწერილობითი ნაწილი

სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 27 მაისის №1003 განკარგულების ბათილად ცნობა;

2. მხარეთა პოზიცია

2.1. მოპასუხე -ქ. თბილისის მერიამ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, გასაჩივრებული აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

2.2. მესამე პირი - ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური-წარმოდგენილი შესაგებლით საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მიანდო სასამართლოს.

მესამე პირები - ლაშა ტუღუშის, გრიგოლ ბარამიძის, თამარ ვაშაყმაძის, ინგა ბაბლუანის, კახა ქორიძის, იზა აფხაზავას, მალხაზ ბარამიძის, ლალი მახათაძის, ნინო ცინცაძის წარმომადგენელი არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

3. ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ქ. თბილისში, მაყაშვილის ქუჩა, პირველი ჩიხი №4. დაზუსტებული ფართობი 163.00, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: №1 საერთო ფართით 308.38 კვ.მეტრი, სხვა ფართი: №2, №3, №4 მესაკუთრეა შპს ,,არქიინვესტი''. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.15.02.038.046.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან /ს.ფ.41/

3.1.2. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ქ. თბილისი, მაყაშვილის ქუჩა მეორე ჩიხი №2 . დაზუსტებული ფართობი: 317.00 კვ.მეტრი. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 236.40. საცხოვრებელი ფართი: 195.33 მესაკუთრეა შპს ,,არქიინვესტი''. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.15.02.038.039.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან /ს.ფ. 43-44/

3.1.3. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01 აგვისტოს №284403 გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა ქ. თბილისში, მაყაშვილის ქუჩა

მეორე ჩიხი №2-ში და პირველი ჩიხი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთების /საკადასტრო კოდები №01.15.02.038.039/ და №01.15.02.038.046/ სამშენებლოდ გამოყენების პირობები. განისაზღვრა, რომ დემონტაჟის პროექტის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო არსებული შენობა-ნაგებობების დაშლა და ტერიტორიიდან გატანა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
-ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01 აგვისტოს №284403 გადაწყვეტილება /ს.ფ. 130-133/

3.1.4. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ნოემბრის №462443 ბრძანებით, გაერთიანებული-სამეცნიერო მეთოდური საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის №48 ოქმის საფუძველზე, უარი ეთქვა მოქ. გ. შელიას ქ. თბილისში, მაყაშვილის მეორე ჩიხი №2-ში და პირველი ჩიხი №4-ში არსებული შენობების დემონტაჟის პროექტს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
-ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ნოემბრის №462443 ბრძანება /ს.ფ. 126-127/

3.1.5. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 დეკემბრის №491921 ბრძანებით, გაერთიანებული-სამეცნიერო მეთოდური საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის №52 ოქმის საფუძველზე, უარი ეთქვა მოქ. ალფაიძეს ქ. თბილისში, მაყაშვილის მეორე ჩიხი №2-ში და პირველი ჩიხი №4-ში არსებული შენობების დემონტაჟის პროექტს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 დეკემბრის №491921 ბრძანება;/ს.ფ. 122-123/

3.1.6. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 დეკემბრის №491921 გადაწყვეტილებით, გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს საბჭოს 2012 წლის 12 სექტემბრის №36 ოქმის საფუძველზე, დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, მაყაშვილის ქუჩა, მეორე ჩიხი, №2-ში და პირველი ჩიხი №4-ში შენობის განთავების მიზნით მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის პრამეტრების გაზრდას და საამშენებლო კოეფიციენტი განისაზღვრა 3,1=0,832=3,3ს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

-ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 დეკემბრის №491921 გადაწყვეტილება /ს.ფ. 142-143/

3.1.7. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 თებერვლის №561690 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში /სექტორი მთაწმინდა/ მაყაშვილის ქუჩა, მეორე ჩიხი №2; მაყაშვილის პირველი ჩიხი №4 შპს ,,არქიინვესტის" საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა. შეთანხმებული სამუშაოები არ ითვალისწინებდა არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
-ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 თებერვლის №561690 ბრძანება /ს.ფ. 15-16/

3.1.8. 2013 წლის 22 მარტს ქ. თბილისის მერიას №12/29997-7 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს მოქალაქეებმა-ლაშა ტუღუშმა, გრიგოლ ბარამიძემ, თამარ ვაშაყმაძემ, ინგა ბაბლუანმა, კახა ქორიძემ, იზა აფხაზავამ, მალხაზ ბარამიძემ, ლალი მახათაძემ და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 თებერვლის №561690 ბრძანების ბათილად ცნობა.

2013 წლის 5 აპრილს №12/29997-7 განცხადებით ქ. თბილისის მერიას მიმართა ნინო ცინცაძემ. განმარტა, რომ მისი ხელმოწერა გამორჩენილ იქნა 2013 წლის 22 მარტის №12/29997-7 ადმინისტრაციული საჩივარზე, დაეთანხმა მის შინაარსს და მოითხოვა მისი მიჩნევა საჩივრის ავტორად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
-ადმინისტრაციული წარმოების მასალები /ს.ფ.94-270/

3.1.9. შპს ,,მშენებლობის ექსპერტი და მედიატორის" 2013 წლის 29 მარტის საექსპერტო დასკვნის თანახმად, სადავო არქიტექტურული პროექტის განხორციელება შესაძლოა გახდეს სახიფათო პრეცედენტი, რომელიც საბოლოო ჯამში საფუძველს დაუდებს მოცემული უბნის ავთენტურობის დარღვევას, მის განვითარებას მაღალი სიმჭიდროვის განაშენიანებით. ასევე გაიზრდება ტრანზიტული მოძრაობა გარნოვის ქუჩაზე და გაიზრდება ურთიერთგადამკვეთი ნაკადების ინტენსიურობა. დაუშვებელია როგორც განაშენიანების სიმჭიდრობის ზრდა, ასევე მაღალსართულიანი მშენებლობის დაშვება მთაწმინდის ფერდობზე. აღნიშნული პროექტით შეთანხმებული სამშენებლო სამუშაოების წარმოების შედეგად პრობლემები შეექმნება საპროექტო და მიმდებარე

ობიექტების სატრანსპორტო უზრუნველყოფას.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
-ქ. თბილისში, მაყაშვილის ქუჩა, მეორე ჩიხი №2 და პირველი ჩიხი №4-ში მიმდინარე მშენებლობის გავლენის შესახებ მიმდებარე ურბანულ გარემოზე შპს ,,მშენებლობის ექსპერტი და მედიატორის'' 2013 წლის 29 მარტის საექპერტო დასკვნა /ს.ფ. 217-226/

3.1.10. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 27 მაისის №1003 განკარგულებით, დაკმაყოფილდა ლაშა ტუღუშის, გრიგოლ ბარამიძის, თამარ ვაშაყმაძის, ინა ბაბლუანის, კახა ქორიძის, იზა აფხაზავას, მალხაზ ბარამიძის, ლალი მახათაძისა და ნინო ცინცაძის 2013 წლის 22 მარტის №12/29997-7 ადმინისტრაციული საჩივარი; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 თებერვლის №561690 ბრძანება; ქ. თბილისის მერიის-სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ ახალი ადმისნიტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 27 მაისის №1003 განკარგულება /ს.ფ.19-24/

სამოტივაციო ნაწილი

3. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, აგრეთვე დაცულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა:

5.1 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57დადგენილება.

6.სამართლებრივი შეფასება:

6.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ”დ” პუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული განკარგულება წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის

შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლო მიუთითებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამავე საკანონმდებლო აქტის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

6.3. სასამართლო მიუთითებს, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს.

სასამართლო მიუთითებს, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მესამე მუხლის 50-ე პუნქტის თანახმად: რეკონსტრუქცია არის არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და ღირებულებრივი განახლების მიზნით; ამავე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად: დემონტაჟი არის არსებული შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების დანგრევა/დაშლა. ამავე დადგენილების 36-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით, განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა, ხოლო მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: შენობა-ნაგებობების ახალი მშენებლობა ისეთი მშენებლობაა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01 აგვისტოს №284403 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით სავალდებულოდ განისაზღვრა არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი,

მიუხედავათ აღნიშნულისა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა ისე გასცა ახალი მშენებლობის ნებართვა, რომ შეთანხმებული სამუშაოები არ ითვალსიწნებდა არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟს. სადავო გადწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათავლისწინებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის №48 და 2012 წლის 25 დეკემბრის №53 ოქმები, ამასთან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე არ მომხდარა იმ პირთა მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ვის კანონიერ ინტერესზეც მოახდენდა გავლენას მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ორგანომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო შეფასების გაერეშე, რის შესაბამისადაც მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

6.4. საქმეზე დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ორგანომ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ და შესაბამისად, არ არსებობს ქ. თბილისის მერიის სადავო განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

6.5. სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ყოველმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, მხარეები ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო არგუმენტაციისა და იმ სამართლებრივი ნორმის მითითება, რომლის საფუძველზეც დაადასტურებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებისა და მის მიერ მიღებული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს, ვერ მიუთითა კანონის ისეთ დარღვევაზე, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. საპროცესო ხარჯები

სასამართლო მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელწიფო ბაჟი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის "ე" პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ, ხოლო 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

დადგენილია, რომ მოსარჩელემ სარჩელის აღძვრისას გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი - 120 ლარის ოდენობით, შესაბამისად, განსახილველ საქმეზე მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 100 (ასი) ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, ხოლო ზედმეტად გადახდილი 20 ლარი უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-10, მე-12, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-ე, 244, 248-ე, 249-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით,

400

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შპს ,,არქიინვესტის" სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

2. მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად, ხოლო 2013 წლის 25 ივნისის №1 საგადასახადო დავალების საფუძველზე ევგენი რუხაძის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 20 (ოცი) ლარის ოდენობით (ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის დასახელება - ქ. თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა"; ბანკის კოდი - TRESGE22; სახაზინო კოდი: 300773150). დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, გრ. როზაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) სააპელაციო საჩივრის შემოტანის გზით.

მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილი

ასლი დედანთან სწორია
შესწლია ქანონიერ ძალაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მდივანი ---
12 11 2014